



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№5 (62) აგვისტო—სექტემბერი—ოქტომბერი 1954 წელი

მ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ.
2. ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 149 მუხლის მეოთხე ნაწილის გაუქმების შესახებ.
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროად.
4. ბრძანებულება სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონმშენებელი ქარხნის მრავალტირაჟიანი გახეთის „ჩენი საყვირის“ მუშაკთა და მუშკორთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
5. ბრძანებულება ამხ. გ. ა. ჯაბუას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრის თანამდებობისაგან.
6. ბრძანებულება ამხ. გ. ა. ჯაბუას დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრად.
7. ბრძანებულება თიანეთის რაიონის შარახვეის სასოფლო საბჭოს გაუქმების შესახებ.
8. ბრძანებულება თიანეთის რაიონის საყარაულოს სასოფლო საბჭოს ზოგიერთი სოფლის გაუქმების შესახებ.
9. ბრძანებულება გახეთ „კომუნისტის“ რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მუშაკების დაჯილდოების შესახებ.
10. ამხ. ვ. ა. ყურაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.
11. ამხ. გ. პ. ცაბოლოვას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.
12. ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ.
13. დებულება საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებისა.
14. ამხ. ს. ა. ჯგაფარიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.
15. ამხ. პ. ა. ნირაშვილის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის ასასრულებლად.
16. ამხ. ვ. ნ. ხმალაძის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს

თავმჯდომარის მოადგილისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის ასასრულებლად.

17. ამხ. გ. ი. ლომიძის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

18. ამხ. თ. დ. ცაგურაის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

20. ბრძანებულება ჭიათურის რაიონის რგანის სასოფლო საბჭოდან სოფელ თაბაგრების გამოყოფისა და წირქელის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.

21. ბრძანებულება კ. ზეთაგურაოვის სახელობის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატოო წოდებების მინიჭების შესახებ.

22. ბრძანებულება კ. ზეთაგურაოვის სახელობის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატოო სიგელით.

23. საგზაო სამუშაოებში სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის შესახებ თიანეთის, საგარეჯოს და ტყიბულის რაიონებში.

24. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ ახალქალაქისა და წალენჯიხის რაიონებში.

25. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ საბჭოების სესიებზე და დეპუტატების ამომრჩეველებისათვის ანგარიშების ჩაბარების შესახებ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში.

26. სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით სოფლის მეურნეობის მუშაკთა დასაჯილდოებლად და საპატიო წოდებების მისანიჭებლად წარდგენის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

27. ბრძანებულება აქარის ასრ ქობულეთის რაიონში დაბა (ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი) ოჩხამურის და ოჩხამურის სადაბო საბჭოს შექმნის შესახებ.

28. ბრძანებულება აქარის ასრ ქობულეთის რაიონში დაბა (ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი) ჩაქვის, ჩაქვის სადაბო საბჭოსა და ულიანოვის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

29. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

30. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

31. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ

„საპატიმრო ადგილებიდან ვადამდე პირობით განთავისუფლების შემოღების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მეექვსე კარის სათაურს დაემატოს სიტყვები: „და ვადამდე პირობით განთავისუფლება“ და გამოიხატოს შემდეგნაირად: „კარი ნ. პირობით მსჯავრის დადება და ვადამდე პირობით განთავისუფლება“.

2. დაემატოს 53, 54 და 55 მუხლები შემდეგი შინაარსით:

53. იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდადებული არიან საპატიმრო ადგილებში სასჯელის მოსახდელად და რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი გამოსწორება შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით და სამაგალითო ყოფაქცევით, მას შემდეგ რაც ისინი მოიხდიან სასჯელის ვადის არა ნაკლებ ორ მესამედს, შეიძლება შეფარდებული იქნას ვადამდე პირობითი განთავისუფლება.

54. ვადამდე პირობითი განთავისუფლება გამოიხატება ან სასჯელის ზომის შემდგომი მოხდისაგან განთავისუფლებით, ან მისი შეცვლით სასჯელის უფრო რბილი ზომით, რასაც გადაწყვეტს სასამართლო მსჯავრდადებულის ადგილსამყოფელის მიხედვით საპატიმრო ადგილების ადმინისტრაციის წარდგენის საფუძველზე.

55. თუ ვადამდე განთავისუფლებული სასჯელის მოუხდელი ვადის განმავლობაში ჩაიდენს ახალ დანაშაულს, რომლისთვისაც შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა, მაშინ სასამართლოს უფლება ენიჭება შეუერთოს მის მიერ მოუხდელი ვადის ნაწილი სასჯელის იმ ზომას, რომელსაც სასამართლო დანიშნავს ახალი დანაშაულისათვის.

ამ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის საერთო ვადა უნდა დაწესდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჭოჭუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

კ. თბილისი.

1954 წ. 7 აგვისტო.

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 149 მუხლის მეოთხე ნაწილის გაუქმების შესახებ

„აბორტის გაკეთებისათვის ორსული ქალების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 149 მუხლის მეოთხე ნაწილი გაუქმდეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჭოჭუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 19 აგვისტო.

3. ბრძანებულება საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ

„სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 4 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გარდაიქმნას საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრო საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჭოჭუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 24 აგვისტო.

4. ბრძანებულება სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ - ვაგონ-შემკეთებელი ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ჩვენი საყვირის“ მუშაკთა და მუშაკორთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ - ვაგონ-შემკეთებელი ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ჩვენი საყვირის“ პირველი ნომრის გამოსვლიდან 25 წლის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

- | | |
|--------------------------------------|--|
| 1. ამირანაშვილი დავით
დიმიტრის-ძე | — ქარხნის ზეინკალი, გაზეთის აქტიური მუშეკორი |
| 2. ბოლქვაძე ილია
ასალოს-ძე | — გაზეთის რედაქტორი |
| 3. ზაქარიაძე კაპიტონ
იორდანის-ძე | — გაზეთის ამწეობი |
| 4. კაქუაძისვილი გრიგოლ
არტემის-ძე | — ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილე, გაზეთის აქტიური მუშეკორი |
| 5. მარიამული გიორგი
გიორგის-ძე | — ქარხნის საქვებზე საამქროს ნორმადარი, გაზეთის აქტიური მუშეკორი |
| 6. მაჩაიძე იოსებ
ალექსის-ძე | — ქარხნის მექვებზე, გაზეთის აქტიური მუშეკორი |
| 7. ნაზარბეგოვი ივანე
არტემის-ძე | — ქარხნის საერთო საცხოვრებლის აღმზრდელი, გაზეთის აქტიური მუშეკორი |
| 8. ფეიქრიშვილი დიმიტრი
ივანეს-ძე | — ქარხნის მექვებზე, გაზეთის აქტიური მუშეკორი. |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 2 სექტემბერი.

5. ბრძანებულება ამხ. გ. ა. ჯაბუას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუა საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჭოჭუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 8 სექტემბერი.

6. ბრძანებულება ამხ. გ. ა. ჯაბუას დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრად

დანიშნოს ამხ. გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუა საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჭოჭუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 8 სექტემბერი.

7. ბრძანებულება თიანეთის რაიონის შარახევის სასოფლო საბჭოს გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გაუქმდეს თიანეთის რაიონის შარახევის სასოფლო საბჭო და მისი ტერიტორია სოფლებით: ზემო შარახევით, ქვემო შარახევით, ლახატოთი, ბუქყინთათი, ზენამხარით და ივლიანთკარით გადაეცეს ზარიძეების სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჭოჭუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 8 სექტემბერი.

8. ბრძანებულება თიანეთის რაიონის საყარაულოს სასოფლო საბჭოს ზოგიერთი სოფლის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

თიანეთის რაიონის საყარაულოს სასოფლო საბჭოს ზოგიერთი სოფლის მცხოვრებთა საგარეჯოს რაიონში გეგმიანი წესით დასახლებასთან დაკავშირებით, გაუქმდეს სოფლები: გონდაურა, იორამაანები, კინთა, კუპრიანთკარი, მაქალოიანი, სიონი, ფიჩხაურთკარი, უკულმართი, კიოტაანთკარი და ჯიხო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჭოჭუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 8 სექტემბერი.

9. ბრძანებულება გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მუშაკების დაჯილდოების შესახებ

გაზეთ „კომუნისტის“ მეათათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის შემდეგი მუშაკები:

რედაქციისა:

- | | |
|--|---|
| 1. ასტვაცატუროვი ლევან
ქრისტეფორეს-ძე | — პრესის მიმოხილვის განყოფილების გამგე. |
| 2. გამყრელიძე შალვა
გრამიტონის-ძე | — სტილისტი. |
| 3. გურგენიძე ვარლამ
იორდანეს-ძე | — საკუთარი კორესპონდენტი. |

- | | |
|----------------------------|---|
| 4. ვარდოსანიძე კონსტანტინე | — კონტროლიორი-კორექტორი. |
| დიონისეს-ძე | |
| 5. თომაძე აბიბო | — საკუთარი კორესპონდენტი. |
| ისიდორეს-ძე | |
| 6. კაჭხიძე კონსტანტინე | — ლიტერატურული მუშაკი. |
| იოსების-ძე | |
| 7. კოკილაშვილი არჩილ | — რედაქტორის მოადგილე. |
| ლაზარეს-ძე | |
| 8. კროლიკოვსკი ევგენი | — შიკრიკი. |
| იოსების-ძე | |
| 9. ლომთაძე დიმიტრი | — მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე. |
| ამირანის-ძე | |
| 10. მშველიძე ნიკოლოზ | — სტილისტი. |
| ნიკოლოზის-ძე | |
| 11. მშველიძე ნინო ივანეს | — ადგილობრივი ინფორმაციის განყოფილების გამგე. |
| ასული | |
| 12. მეფისაშვილი გივი | — საკუთარი კორესპონდენტი. |
| იოსების-ძე | |
| 13. მხეიძე ქეთევან | — კორექტორი. |
| ალექსანდრეს ასული | |
| 14. პაიჭაძე დავით | — საკუთარი კორესპონდენტი. |
| ივანეს-ძე | |
| 15. სიხარულიძე კარლო | — კორესპონდენტთა ქსელის განყოფილების გამგე. |
| ილიას-ძე | |
| 16. უბილავა ელიზბარ | — ლიტერატურული მუშაკი. |
| მიხეილის-ძე | |
| 17. ჭურციკიძე რუბენ | — რედაქტორის მოადგილე. |
| ეჭვთიმეს-ძე | |
| 18. ჭოჩლაძე სიმონ | — საკუთარი კორესპონდენტი. |
| არტემის-ძე | |
| 19. ყიფიანი თენგიზ | — პასუხისმგებელი მდივნის თანაშემწე. |
| დავითის-ძე | |
| 20. შავგულიძე ვლადიმერ | — პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე. |
| ივანეს-ძე | |
| 21. ჩავლეიშვილი აკაკი | — პასუხისმგებელი მდივანი. |
| გიორგის-ძე | |
| 22. კოჭუა შალვა | — ლიტერატურული მუშაკი. |
| ეჭვთიმეს-ძე | |
| 23. ხუნდაძე ევგენია | — ლიტერატურული მუშაკი. |
| სამსონის ასული | |
| 24. ჯაფარიძე ეთერ | — მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე. |
| ვლადიმერის ასული | |

გამომცემლობისა:

- | | |
|--------------------|------------------------------------|
| 1. დორეული ქეთევან | — განცხადებათა განყოფილების გამგე. |
| ალექსანდრეს ასული | |

- | | |
|--|---|
| 2. კაიტანჯიანი სტეფანე
ალექსანდრეს-ძე | — გამომცემლობა „კომუნისტის“
დირექტორი. |
| 3. სანებლიძე ლევან
გიორგის-ძე | — მთავარი ბუხჰალტრის მოადგილე. |
| 4. ტაბატაძე შალვა
ტიებუხის-ძე | — უფროსი ბუხჰალტერი. |

სტამბისა:

- | | |
|-------------------------------------|--|
| 1. ბუჩუკური ვასილ
ბესარიონის-ძე | — საროტაციო საამქროს უფროსი. |
| 2. ელიშერაშვილი გიორგი
ივანეს-ძე | — ასოთამწყობი. |
| 3. ელიაძე ალექსანდრე
სიმონის-ძე | — ასოთამწყობი. |
| 4. ზუბიაშვილი ვასილ
გრიგოლის-ძე | — ცინკოგრაფი. |
| 5. მელნიკოვი გიორგი
პეტრეს-ძე | — საროტაციო საამქროს ოსტატი. |
| 6. ჟივიძე ივანე
ზაქარიას-ძე | — სტერეოტიპიორი. |
| 7. ჩხაიძე გრიგოლ
თეოფილეს-ძე | — სალინოტიპო საამქროს უფროსი. |
| 8. ძახოვი ილია
იაგორის-ძე | — სტერეოტიპიორი. |
| 9. წიეწივაძე შალვა
ლევონტის-ძე | — პოლიგრაფ-კომბინატ „კომუნისტის“
დირექტორი. |
| 10. ჯაბადარი გიორგი
მიხეილის-ძე | — ასოთამწყობი. |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჭოჭუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 20 სექტემბერი.

**10. ამხ. ვ. ა. ყურაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს
სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან**

განთავისუფლდეს ამხ. ვახტანგ არსენის-ძე ყურაშვილი საქართველოს
სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჭოჭუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 25 სექტემბერი.

11. ამხ. ე. პ. ცაბოლოვას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ელისაბედ პაელეს ასული ცაბოლოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ჭოჭუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 2 ოქტომბერი.

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს „დებულება საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 12 ოქტომბერი.

13. რ ე ბ უ რ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნებისა.

თ ა ვ ი I.

საარჩევნო სისტემა

1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 123 მუხლისა და სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის 22 მუხლის საფუძველზე სახალხო სასამართლოებს რაიონის მოქალაქენი ირჩევენ საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით—სამი წლის ვადით.

2. სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქე, რომელიც სარგებლობს საარჩევნო უფლებით და რომელსაც არჩევნების დღისათვის 23 წელი შეუსრულდა. არ შეიძლება არჩეულ იქნას სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად ნასამართლობის მქონე პირი.

3. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 18 მუხლის საფუძველზე ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობს საქართველოს სსრ მოქალაქის თანაბარი უფლებით—აირჩიოს და არჩეულ იქნას სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად.

4. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის 23 მუხლის საფუძველზე რაიონის მოქალაქენი სახალხო მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს ირჩევენ საარჩევნო ოლქების მიხედვით. სახალხო სასამართლოს (სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების) არჩევნების საარჩევნო ოლქი მოიცავს მთელ მოსახლეობას, რომელიც ცხოვრობს ამ სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე.

5. სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ეწევა სახელმწიფო.

თ ა ვ ი II.

ამომრჩეველთა სიები

6. ამომრჩეველთა სიებს სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის ადგენენ: ქალაქად—მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში—რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, დაბებში—სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სოფლად—მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

7. ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქე, მამაკაცები და ქალები, რომლებიც სიის შედგენის დროს მოცემული

საბჭოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ და არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდათ, დამოუკიდებლად მათი რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა.

8. ამომრჩეველთა სიებში არ შეაქვთ სასამართლოს განაჩენით საარჩევნო უფლებაჩამორთმეული პირნი მთელი იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც საარჩევნო უფლების ჩამორთმევა განაჩენშია განსაზღვრული, აგრეთვე ის პირნი, რომელნიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეზღილვად.

9. ამომრჩეველთა სიები სდგება თითოეული საარჩევნო პუნქტის მიხედვით დაწესებული ფორმით, ანბანის წესზე, ამომრჩევლის გვარის, სახელის, მამის სახელის, წლოვანებისა და საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით. სიებს ხელს აწერენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი.

10. სამხედრო ნაწილებსა და ჯარის შენაერთებში მყოფ ამომრჩეველთა სიები სდგება მეთაურის ხელმოწერით. ყველა დანარჩენი სამხედრო მოსამსახურე ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს.

11. არჩევნებამდე 20 დღით ადრე მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამომრჩეველთა სიებს გამოაკრავს ყველას გასაცნობად ან უზრუნველყოფს ამომრჩევლებისათვის ამ სიების გაცნობის შესაძლებლობას საბჭოს ან საარჩევნო პუნქტის შენობაში.

12. განცხადება ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის შესახებ (სიაში შეუტანლობა, სიიდან ამოშლა, გვარის, სახელისა და მამის სახელის დამახინჯება, საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა უმართებულოდ შეტანა სიაში) შეაქვთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელმაც სია გამოაქვეყნა.

13. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია ყოველი განცხადება ამომრჩეველთა სიებში დაშვებული შეცდომის შესახებ სამი დღის ვადაზე განიხილოს და შეიტანოს საჭირო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში, ან მისცეს განმცხადებელს წერილობითი ცნობა მისი განცხადების უარყოფის მოტივების შესახებ. თუ განმცხადებელი არ ეთანხმება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია საჩივარი შეიტანოს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

თ ა ვ ი III.

სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო ოლქები და საარჩევნო კუნძულები

14. სახალხო სასამართლოს არჩევნების თითოეულ საარჩევნო ოლქში არჩეული იქნება ერთი სახალხო მოსამართლე და 50-დან 75-მდე სახალხო მსაჯული.

თითოეულ საარჩევნო ოლქში ასარჩევ სახალხო მსაჯულთა რიცხვს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ

ოლქში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს წარდგენით.

15. სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო ოლქების სიას, თითოეულ ოლქში ასარჩევი სახალხო მსაჯულების რიცხვის აღნიშვნით, აქვეყნებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არა უგვიანეს 28 დღისა არჩევნებამდე.

16. საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად სახალხო სასამართლოს არჩევნების საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე იქმნება საარჩევნო პუნქტები.

17. საარჩევნო პუნქტებს ჰქმნიან:

ქალაქად—მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, რაიონებად დაყოფილ ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, დაბებში და სოფლად—მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

საარჩევნო პუნქტები იქმნება არა უგვიანეს 25 დღისა არჩევნებამდე.

18. ქალაქებში, დაბებში, აგრეთვე სოფლებში და იმ სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე, სადაც ითვლება 2000-ზე მეტი მცხოვრები, საარჩევნო პუნქტები იქმნება ანგარიშით—ერთი საარჩევნო პუნქტი 1500—3000 მცხოვრებზე.

19. სასოფლო საბჭოს ტერიტორია, რომლის მოსახლეობა 2000 კაცს არ აღემატება, როგორც წესი, მიეკუთვნება ერთ საარჩევნო პუნქტს.

თითოეულ სოფელში, რომელშიაც ითვლება 500-დან 2000-მდე მცხოვრები, იქმნება ცალკე საარჩევნო პუნქტი.

სოფელში ან სოფლების ჯგუფში, სადაც ითვლება 500-ზე ნაკლები მცხოვრები, მაგრამ არა ნაკლებ 300-ისა, თუ მანძილი ასეთი სოფლიდან საარჩევნო პუნქტამდე 10 კილომეტრს აღემატება, შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო პუნქტები.

20. დაშორებულ რაიონებში, სადაც წვრილი დასახლებული პუნქტები სკარბობენ, შეიძლება მოეწყოს საარჩევნო პუნქტები არანაკლებ 100 მცხოვრებით.

მთიან და მომთაბარო ადგილებში შეიძლება შეიქმნას საარჩევნო პუნქტები 100-ზე ნაკლები მცხოვრებით, მაგრამ არა ნაკლებ 50-სა.

21. სამხედრო ნაწილებში და ჯარის შენაერთებში მოეწყობა ცალკე საარჩევნო პუნქტები არა ნაკლებ 50 და არა უმეტეს 3000 ამომრჩევლით.

თ ბ შ ი IV.

არჩევნების ორგანიზაცია

22. სახალხო სასამართლოების არჩევნებს აწყობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებენ არჩევნების ამ დებულების შესრულებას არჩევნების მსვლელობაში და სწყვეტენ საჩივრებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების არასწორ მოქმედებათა შესახებ.

23. რაიონებისა და ქალაქების (რომლებსაც რაიონული დაყოფა არა აქვთ) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ:

- ა) რეგისტრაციის წარმოება სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებისა, რომლებიც წამოყენებული არიან საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონისა და არჩევნების ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით;
- ბ) მომარაგება საარჩევნო პუნქტებისა სახალხო მოსამართლეების და სახალხო მსაჯულების არჩევნებისათვის დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით;
- გ) რწმუნებულების დანიშვნა საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად საარჩევნო პუნქტებში;
- დ) სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგების გამორკვევა თითოეული საარჩევნო ოლქის მიხედვით.
- ე) არჩეული სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულებისათვის არჩევის მოწმობების გაცემა და სახალხო მსაჯულთა სიის შედგენა თითოეული სახალხო სასამართლოს მიხედვით;
- ვ) განხილვა საჩივრებისა საარჩევნო პუნქტებში წარგზავნილ რწმუნებულთა არასწორი მოქმედების შესახებ.

24. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თითოეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების დასათვლელად მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ჰქმნიან დამთვლელ კომისიას 5—7 კაცის შემადგენლობით თითოეულ საარჩევნო ოლქზე.

25. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თითოეული კანდიდატისათვის ყოველ საარჩევნო პუნქტში მიცემული ხმების დასათვლელად მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი

კომიტეტის რწმუნებულთან შეიქმნება დამთვლელი კომისია 5—11 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

თ ა ვ ი V.

სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატების წამოყენების წესი

26. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატების წამოყენების უფლება უზრუნველყოფილი აქვთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა საზოგადოებებს: კომუნისტურ პარტიულ ორგანიზაციებს, პროფესიულ კავშირებს, კოოპერაციულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდობის ორგანიზაციებსა და კულტურულ საზოგადოებებს, აგრეთვე საერთო კრებებს მუშებისა და მოსამსახურეებისას—საწარმოებში და დაწესებულებებში, სამხედრო მოსამსახურეებისას—სამხედრო ნაწილებში, საერთო კრებებს გლეხებისას—კოლმეურნეობებში და სოფლებში, საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისას—საბჭოთა მეურნეობებში.

27. არჩევნებამდე არა უგვიანეს 15 დღისა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომლებმაც წამოაყენეს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატები, ვალდებული არიან რეგისტრაციაში გაატარონ ეს კანდიდატები მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ყველა კანდიდატი, რომელნიც წამოაყენეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა საზოგადოებებმა საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონისა და არჩევნების ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით.

28. საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომლებმაც წამოაყენეს სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატები, ვალდებული არიან კანდიდატის რეგისტრაციისათვის წარუდგინონ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ოქმი კრების ან სხდომისა, რომელზედაც წამოყენებული იყო სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატი; ოქმი ხელმოწერილი უნდა იყოს პრეზიდიუმის წევრების მიერ მათი საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით. ოქმში უნდა იყოს ნაჩვენები: კანდიდატის წამომყენებელი ორგანიზაციის სახელწოდება, კრების ან სხდომის ადგილი, დრო და მონაწილეთა რაოდენობა, კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა, საქმიანობა.

ბ) სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატის განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში მისი წამომყენებელი ორგანიზაციის სახელით.

29. სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატს შეიძლება კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში.

30. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის უარი სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ორი დღის ვადაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელთა გადაწყვეტილება საბოლოოა.

31. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თითოეული რეგისტრირებული კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, საქმიანობა, პარტიულობა და კანდიდატის წამომყენებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელწოდება ქვეყნდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ არა უგვიანეს 12 დღისა არჩევნებამდე.

32. სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ყველა რეგისტრირებული კანდიდატი აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი საარჩევნო ბიულეტენში.

33. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია არაუგვიანეს 10 დღისა არჩევნებამდე დაუგზავნოს ყველა საარჩევნო პუნქტებს საარჩევნო ბიულეტენები.

34. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება სახალხო მოსამართლის არჩევნებისათვის ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისათვის ცალკე, თითოეული საარჩევნო ოლქის მიხედვით.

35. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება შესაბამისი საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენაზე იმ რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ამომრჩეველს.

36. თითოეული ორგანიზაციისათვის, რომელმაც მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში რეგისტრირებულ კანდიდატი წამოაყენა, ისე როგორც თითოეული მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია უფლება დაუბრკოლებლად გასწიოს აგიტაცია ამ კანდიდატის სასარგებლოდ კრებებზე, პრესაში და სხვა საშუალებით, თანახმად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 138 მუხლისა.

თ ა 3 ი VI.

ხმის მიცემის წესი

37. სახალხო სასამართლოების არჩევნები მოხდება ერთ დღეს, რომელიც საერთოა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის.

არჩევნების დღეს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არა უგვიანეს 30 დღისა არჩევნებამდე.

არჩევნები მოხდება არა სამუშაო დღეს.

38. ამომრჩევლები ხმას აძლევენ არჩევნების დღის დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე ადგილობრივი დროით.

39. არჩევნების დღეს დილის 6 საათზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული საარჩევნო პუნქტში, დამთვლელი კომისიის წევრების თანდასწრებით, ამოწმებს საარჩევნო ყუთებს და დაწესებული ფორმით შედგენილ ამომრჩეველთა სიის არსებობას, რის შემდეგ ხურავს და ლუქავს ყუთებს და იწვევს ამომრჩევლებს ხმის მიცემის დასაწყებად.

40. თვითველი ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად, რისთვისაც ცხადდება ხმის მიცემისათვის გამოყოფილ შენობაში, ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემა ხდება საარჩევნო ბიულეტენების ჩაშვებით საარჩევნო ყუთში.

41. საარჩევნო შენობაში გამოიყოფა საგანგებო ოთახები ან მოეწყობა ცალკე კაბინები, რომ ამომრჩევლებმა საარჩევნო ბიულეტენები შეავსონ. ამომრჩევლების მიერ საარჩევნო ბიულეტენების შევსების დროს ამ ოთახში ან კაბინაში აკრძალულია ვისიმე ყოფნა (მათ შორის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულისა და დამთვლელი კომისიის წევრებისა) გარდა ხმის მიცემისა.

42. არჩევნების შენობაში ხმის მისაცემად მოსული ამომრჩეველი მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულს ან დამთვლელი კომისიის წევრს წარუდგენს ან პასპორტს, ან საკოლმეურნეო წიგნაკს, ან პროფკავშირის ბილეთს, ან პირადობის სხვა მოწმობას და ამომრჩეველთა სიაში მისი შემოწმებისა და იმავე სიაში სათანადო აღნიშვნის შეტანის შემდეგ, ღებულობს საარჩევნო ბიულეტენს სახალხო მოსამართლის ასარჩევად და საარჩევნო ბიულეტენს სახალხო მსაჯულების ასარჩევად.

43. საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად გამოყოფილ ოთახში ამომრჩეველი თითოეულ საარჩევნო ბიულეტენში სტოვებს სახალხო მოსამართლის და სახალხო მსაჯულების იმ კანდიდატების გვარებს, რომლებსაც იგი ხმას აძლევს, დანარჩენების გვარებს შლის. ამის შემდეგ ამომრჩეველი მიდის საარჩევნო ყუთთან და შიგ უშვებს საარჩევნო ბიულეტენებს.

44. ამომრჩეველს, რომელსაც წერა-კითხვის უცოდინარობისა და რაიმე ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენები, უფლება აქვს მოიწვიოს იმ შენობაში, სადაც საარჩევნო ბიულეტენები ივსება, რომელიმე სხვა ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად.

45. საარჩევნო აგიტაცია არჩევნების შენობაში ხმის მიცემის დროს არ შეიძლება.

46. არჩევნების შენობაში წესრიგის დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულს და მისი განკარგულებანი ყველა დამსწრისათვის სავალდებულოა.

47. არჩევნების დღეს, ღამის 12 საათზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული ხმის მიცემას დამთავრებულად აცხადებს და დამთვლელი კომისია იწყებს საარჩევნო ყუთების გახსნას.

თ ა შ ი VII.

არჩევნების შედეგების გამოკრევა

48. შენობაში, სადაც საარჩევნო პუნქტის მიხედვით ხმებს ითვლიან, ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომლებსაც ეს სპეციალურად ექნებათ დავალებული, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

49. დამთვლელი კომისია ყუთების გახსნის შემდეგ ერთმანეთს აღარებს ყუთებში ჩაშვებული ბიულეტენების რიცხვსა და იმ პირთა რიცხვს, რომლებმაც ამომრჩეველთა სიით მიიღეს ბიულეტენები და შედარების შედეგები შეაქვს ხმის მიცემის ოქმში.

50. გაუქმებულად ითვლება:

ა) დაუწესებელი ნიმუშის ბიულეტენები;

ბ) სახალხო მოსამართლის არჩევნების ბიულეტენები, რომლებშიც ხმის მიცემის დროს დატოვებულია ერთ კანდიდატზე მეტი.

51. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული ადგენს ოქმს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატებისათვის ამ საარჩევნო პუნქტში ხმის მიცემის შესახებ. ოქმს ხელს აწერენ რწმუნებული და დამთვლელი კომისიის ყველა წევრი.

52. საარჩევნო პუნქტის ხმის მიცემის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ხმის მიცემის დაწყებისა და დამთავრების დრო;

ბ) ამომრჩეველების საერთო რიცხვი სიის მიხედვით;

გ) რიცხვი ამომრჩეველებისა, რომლებმაც საარჩევნო ბიულეტენები მიიღეს;

დ) რიცხვი ამომრჩეველებისა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ხმის მიცემაში;

ე) რიცხვი გაუქმებულად ცნობილი ბიულეტენებისა, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისა ცალკე;

ვ) რიცხვი ბიულეტენებისა, რომლებშიც წაშლილია ყველა კანდიდატის გვარი, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისა ცალკე;

ზ) სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების თითოეული კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი.

53. საარჩევნო პუნქტის ხმის მიცემის ოქმს რწმუნებული დაუყოვნებლივ უგზავნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

54. ყველა საარჩევნო ბიულეტენი (ცალკე ნამდვილი და ცალკე გაუქმებულად ცნობილი) უნდა დაილუქოს და შესანახად ჩაბარდეს: ქალაქად—მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონებად დაყოფილ ქალაქში—მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, სოფლად—მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ვვალდება შეინახოს საარჩევნო ბიულეტენები 3 თვის განმავლობაში არჩევნების დღიდან.

2. უწყებები № 5.

55. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საოლქო დამთვლელი კომისიები თვითელ საარჩევნო ოლქში ითვლიან სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თითოეულ კანდიდატზე მიცემულ ხმებს საარჩევნო პუნქტებში წარგზავნილ რწმუნებულთა მიერ წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე.

ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომლებსაც ეს სპეციალურად ექნებათ დავალებული, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

56. სახალხო მოსამართლისა ან სახალხო მსაჯულის კანდიდატი, რომელმაც მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ე. ი. იმ ხმების ნახევარზე მეტი, რომლებიც მიცემულია ოლქში და ცნობილია ნამდვილად, არჩეულად ითვლება.

57. მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საოლქო დამთვლელი კომისია ადგენს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატებისათვის საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმს სამ ცალად, ოქმს ხელს აწერს დამთვლელი კომისიის ყველა წევრი.

58. საარჩევნო ოლქის ხმის მიცემის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ამომრჩეველთა საერთო რიცხვი ოლქში;

ბ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომლებმაც მიიღეს საარჩევნო ბიულეტენები;

გ) რიცხვი ამომრჩევლებისა, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ხმის მიცემაში;

დ) გაუქმებულად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისა ცალკე;

ე) რიცხვი ბიულეტენებისა, რომლებშიც წაშლილია ყველა კანდიდატის გვარი, სახალხო მოსამართლის არჩევნებისა ცალკე და სახალხო მსაჯულების არჩევნების ცალკე;

ვ) სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის თვითელი კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების რიცხვი.

59. ხმების დათვლის დამთავრების შემდეგ მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია გაუზავნოს თითოეულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმის ერთი ცალი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ოქმის მეორე ცალი ერთდროულად ეგზავნება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოსთან არსებულ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს.

ოქმის მესამე ცალი, სახალხო სასამართლოს არჩევნების მთელ საქმის წარმოებასთან ერთად, რჩება მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში.

60. თითოეულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული ხმის მიცემის ოქმის ხელმოწერის შემდეგ მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს არჩევნების შედეგებს და აძლევს არჩეულ სახალხო მოსამართლეს და სახალხო მსაჯულებს არჩევის მოწმობას, აგრეთვე აძლევს თითოეულ არჩეულ სახალხო მოსამართლეს ამ სახალხო სასამართლოსათვის არჩეული სახალხო მსაჯულების სიას, ხელმოწერილს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ.

61. თუ სახალხო მოსამართლის ვერც ერთმა კანდიდატმა საარჩევნო ოლქში ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და აცხადებს ხელახალ კენჭისყრას იმ ორი კანდიდატისათვის, რომლებმაც მიიღეს ყველაზე მეტი ხმა. ხელახალი კენჭისყრის დღე დაინიშნება არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ.

62. თუ რიცხვი სახალხო მსაჯულების კანდიდატებისა, რომელთაც მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ნაკლებია ასარჩევი სახალხო მსაჯულების დადგენილ რიცხვზე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იძლევა მითითებას ან ხელახალი კენჭისყრის დაინიშნის შესახებ ან სახალხო მსაჯულთა რიცხვის შესაბამისი შემცირების შესახებ ამ საარჩევნო ოლქისათვის.

ხელახალი კენჭისყრა, თუ იგი საჭიროდ იქნება ცნობილი, დაინიშნება არა უგვიანეს ორი კვირისა არჩევნების პირველი ტურის შემდეგ. ხელახლა ეყრება კენჭი სახალხო მსაჯულთა იმ კანდიდატების საჭირო რიცხვს, რომლებმაც არჩევნების პირველ ტურში მიიღეს ყველაზე მეტი ხმების რიცხვი.

63. თუ საარჩევნო ოლქში მიცემული ხმების რაოდენობა შეადგენს იმ ამომრჩეველთა რიცხვის ნახევარზე ნაკლებს, რომელთაც ამ ოლქში ხმის მიცემის უფლება აქვთ, მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ნიშნავს ახალ არჩევნებს არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა პირველი არჩევნების შემდეგ.

64. სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებისათვის ხელახალი კენჭისყრა, ისევე როგორც ახალი არჩევნები ნაცვლად არანამდვილ არჩევნებად ცნობილისა, მოხდება ამომრჩეველთა სიებით, რომლებიც შედგენილი იყო პირველი არჩევნებისათვის, და არჩევნების ამ დეპუტატების სრულ შესაბამისად.

65. სახალხო მოსამართლის ვადამდე გასვლის შემთხვევაში (ამომრჩეველთა მიერ უკან გამოწვევა, გარდაცვალება, ხანგრძლივი ავადმყოფობა და სხვ.) სახალხო მოსამართლის ხელახალი არჩევნები მოეწყობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ან მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის მიერ არა უგვიანეს ორი თვის ვადისა სახალხო მოსამართლის გასვლის დღიდან.

66. თუ სახალხო მსაჯულთა საგრძნობი რიცხვის გასვლის გამო დარჩენილ სახალხო მსაჯულთა რიცხვი არასაკმარისი იქნება ამ სახალხო სასამართლოს ნორმალური მუშაობისათვის, მოეწყობა სახალხო მსაჯულთა დამატებითი არჩევნები.

67. ყველა ის პირი, ვინც ძალადობისა, მოტყუებისა, მუქარისა ან მოსყიდვის გზით ხელს შეუშლის საქართველოს სსრ მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და არჩეულ იქნას სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე.

68. თანამდებობის პირი, რომელიც სიყალბეს შეიტანს დოკუმენტებში ან განზრახ არასწორად დაითვლის ხმებს სახალხო სასამართლოების არჩევნების დროს, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

14. აშხ. ს. ა. ჯაფარიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან

განთავისუფლდეს აშხ. სიმონ ალექსანდრეს-ძე ჯაფარიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 15 ოქტომბერი.

15. ამხ. პ. ა. ნადირაშვილის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის ასასრულებლად

დაშვებულ იქნას ამხ. პავლე ანტონის-ძე ნადირაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის ასასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 18 ოქტომბერი.

16. ამხ. ვ. ნ. ხმაღაძის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის ასასრულებლად

დაშვებულ იქნას ამხ. ვასილ ნიკოლოზის-ძე ხმაღაძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის ასასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 18 ოქტომბერი.

17. ამხ. გ. ი. ლომიძის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად

დაშვებულ იქნას ამხ. გობრომ ივანეს-ძე ლომიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 18 ოქტომბერი.

18. ამხ. თ. დ. ცაგურიას დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად

დაშვებულ იქნას ამხ. თამარ დიმიტრის ასული ცაგურია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 18 ოქტომბერი.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
„მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო, საოლქო სასამართლოების და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. დოლიძე ისიდორე სამსონის-ძე;

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები ამხ. ამხ. ნადირაშვილი პავლე ანტონის-ძე და ხმალაძე ვასილ ნიკოლოზის-ძე;

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრები ამხ. ამხ. ცაგურია თამარ დიმიტრის ასული და ლომიძე გობრომ ივანეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 18 ოქტომბერი.

20. ბრძანებულება ჭიათურის რაიონის რგანის სასოფლო საბჭოდან სოფელ თაბაგრების გამოყოფისა და წირქვალის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
გამოეყოს ჭიათურის რაიონის რგანის სასოფლო საბჭოს სოფელი თაბაგრები და მიეკუთვნოს ამავე რაიონის წირქვალის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.
1954 წ. 20 ოქტომბერი.

21. ბრძანებულება კ. ხეთაგუროვის სახელობის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სამხრეთ ოსეთის ნაციონალური დრამატული თეატრის 50 წლისთავთან დაკავშირებით, თეატრალური ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭეთ კ. ხეთაგუროვის სახელობის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებს საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. მამიევს დიმიტრი ილიას-ძეს — თეატრის მსახიობს
2. ჩაბიევას ნინო ზაქარიას — თეატრის მსახიობს.
ასულს

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

1. გაგლოევს თაურბეკ — თეატრის მთავარ მხატვარს.
ალექსანდრეს-ძეს

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. გაგლოევას ზინაიდა — თეატრის მსახიობს
ალექსანდრეს ასულს
2. გაზაევს სტეფანე ივანეს-ძეს — თეატრის მსახიობს
3. გუბიევს გიორგი — თეატრის მსახიობს
გრიგოლის-ძეს
4. კაბისოვს გრიგოლ — თეატრის მთავარ რეჟისორს
არსენის-ძეს
5. მელკუევას მარიამ — თეატრის მსახიობს
დავითის ასულს
6. ტყემალაძეს იოსებ — თეატრის მსახიობს
სიმონის-ძეს
7. შერაზადიშვილს ირაკლი — თეატრის მსახიობს
ვასილის-ძეს
8. ცხვირაშვილს იოსებ — თეატრის მსახიობს
დავითის ძეს
9. ცხოვრებოვს ბორის — თეატრის მსახიობს.
ალექსანდრეს-ძეს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

კ. თბილისი.

1954 წ. 20 ოქტომბერი.

22. ბრძანებულება კ. ხეთაგუროვის სახელობის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

სამხრეთ ოსეთის ნაციონალური დრამატული თეატრის 50 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით კ. ხეთაგუროვის სახელობის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკები:

- | | |
|--|------------------------------|
| 1. ბაგაევი თევდორე
მათეს-ძე | — თეატრის მსახიობი |
| 2. გაგლოევა ბარბაღე
ალექსანდრეს ასული | — თეატრის მსახიობი |
| 3. გუგუაევა ალექსანდრა
ანდრეას ასული | — თეატრის მსახიობი |
| 4. დარბუაშვილი ივანე
სერგოს-ძე | — თეატრის მსახიობი |
| 5. თომაევა მარიამ
ალექსანდრეს ასული | — თეატრის უფროსი მკერავი |
| 6. კოკოევი გრიგოლ
გაბრიელის-ძე | — თეატრის მსახიობი |
| 7. კრიხელი კიმიანო
მორდუხის-ძე | — თეატრის მსახიობი |
| 8. მაზინგ ეკატერინე
ევგენის ასული | — თეატრის პიანისტი |
| 9. მაოგიევი სოსლან
გიორგის-ძე | — თეატრის მსახიობი |
| 10. პარასტაევი დიმიტრი
ვასილის ძე | — თეატრის მსახიობი |
| 11. შერაზადიშვილი იასონ
ილიას-ძე | — დეკორატიული სამუშაოს გამგე |
| 12. ჩაბიევა ბარბაღე
ზაქარიას ასული | — თეატრის მსახიობი |
| 13. ჩოჩიევა ნინო
ზაქარიას ასული | — თეატრის მსახიობი |
| 14. ჯატიევა სოფიო
მიხეილის ასული | — თეატრის მსახიობი |
| 15. ჯიკაევი როსტიკ
იოსების-ძე | — მუსიკალური ნაწილის გამგე. |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**.

23. საგზაო სამუშაოებში სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის შესახებ თიანეთის, საგარეჯოს და ტყიბულის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში აღნიშნავს, რომ თიანეთის, საგარეჯოს და ტყიბულის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები და მათი საგზაო განყოფილებები არასაკმაო ყურადღებას აქცევენ საგზაო სამუშაოებში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის საქმეს.

საგზაო სამუშაოების 1954 წლის გეგმა პირველი ოქტომბრისათვის შესრულებულია საგარეჯოს რაიონში 82 პროცენტით, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გეგმა — 80 პროცენტით, თიანეთის რაიონში საგზაო სამუშაოების გეგმა შესრულებულია 29 პროცენტით, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გეგმა — 26 პროცენტით, ტყიბულის რაიონში საგზაო სამუშაოების გეგმა შესრულებულია 76 პროცენტით, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გეგმა — 84 პროცენტით.

მიმდინარე წელს საგზაო სამუშაოებში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გეგმა სწორად არ იქნა შედგენილი: საგარეჯოს რაიონის სოფელ თხზლიაურის კოლმეურნეობას გეგმა მიეცა 100 კაც/დღით მეტი, ვიდრე ეკუთვნოდა, სტალინის სახელობის კოლმეურნეობას 131 კაც/დღით მეტი, ხოლო თიანეთის რაიონის სოფელ თიანეთის კოლმეურნეობას 68 კაც/დღით ნაკლები.

ტყიბულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს საგზაო სამუშაოების მიმდინარე წლის გეგმა სასოფლო საბჭოებისათვის აგვისტოს თვეში ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაგზავნილი, რის შედეგადაც ძირაონის, ზედუბნის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებს არ მიუღიათ შრომითი მონაწილეობა გზების შეკეთებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ შესრულებული სამუშაოები ზოგიერთ გზებზე დაბალი ხარისხისაა.

რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები თბილისი — თელავი, თერჯოლა — ტყიბული, თიანეთი — ახმეტა და თიანეთის რაიონის ხევსურთსოფლის, მელიასხევის, თოლენჯის, ბალებისხევის, საგარეჯოს რაიონის კრასნოგორსკის, ანთოკის და ჩაილურის სასოფლო გზები იმყოფება არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში.

არ სრულდება სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წ. 3 მარტის დადგენილება კოლმეურნეობების მიერ საგზაო სამუშაოებისათვის მუდმივი ბრიგადების გამოყოფისა და შრომითი მონაწილეობისაგან თავის არიდების შემთხვევაში შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების ორმაგად გადახდების შესახებ.

საგზაო სამუშაოების გეგმების ხარისხიანად შესრულებას ხელს უშლის ის მდგომარეობა, რომ სამუშაო უბნები არ არის უზრუნველყოფილი საჭირო რაოდენობის მექანიზმებით და ინვენტარით.

სუსტია მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საგზაო მშენებლობის მუდმივი კომისიების მუშაობა მოსახლეობის შრომითი მონაწილეობისა და საგზაო სამუშაოების გეგმების შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში აღგენს:

1. დაევალოს თიანეთის, საგარეჯოს და ტყიბულის რაიონების მშრო-

მელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. ზ. ი. მათურელი, შ. მ. გოგიტაშვილი და ი. ა. გორგიძე):

ა) საგზაო სამუშაოებში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გეგმების შედგენის დროს იხელმძღვანელონ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 3 მარტის დადგენილებით;

ბ) უზრუნველყონ შედგენილი გეგმების მიხედვით საგზაო სამუშაოებში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა და სამუშაოსაგან თავის ამრიდებელთა მიმართ მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები;

გ) გაატარონ სათანადო ღონისძიებები, რათა კოლმეურნეობებმა უზრუნველყონ საგზაო ორგანოების განკარგულებაში გეგმით გათვალისწინებული ტრანსპორტის, გამწვევი ძალისა და ინვენტარის გადაცემა;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგზაო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხების დანიშნულებისამებრ გამოყენებას და ჩატარებული სამუშაოების ხარისხს;

ე) უზრუნველყონ კოლმეურნეობებს საგზაო სამუშაოების ხარისხიანად შესრულების მიზნით შექმნან მუდმივი საგზაო ბრიგადები;

ვ) რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების უკეთ მოვლის და საგზაო სამუშაოებში მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ფართოდ გამოიყენონ საბჭოების დეპუტატები;

ზ) საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ საგზაო სამუშაოების საკითხები და დასახონ სათანადო ღონისძიებები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს (ამხ. თ. ნ. დავითაშვილი) გზების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გააძლიეროს ხელმძღვანელობა საგზაო სამუშაოებზე და უზრუნველყოს ადგილობრივი საგზაო ორგანოები საქირო მექანიზმებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვცივიძე.**

ქ. თბილისი.
1954 წ. 20 ოქტომბერი.

24. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობის შესახებ ახალქალაქისა და წალენჯიხის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში ახალქალაქის რაიონში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ჯერ კიდევ მოუწყვრიდებელია სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვისა და მათი სწავლებაში ჩაბმის საქმე. შემოწმებით განიორკვა, რომ ახალქალაქის რაიონის კარტიკაის, ვაჩიანის, ბარალეთის, აზავრეთის, დილისკას, ხავეთის, ალასტანისა და არაკვის სასოფლო საბჭოებში სკოლის გარეთ დარჩენილია 252 ბავშვი. სასკოლო ასაკის

ბავშვთა გამოვლინებას ხელს უშლის ის მდგომარეობა, რომ საკომლო წიგნებში არ არის ჩაწერილი სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი.

იმის გამო, რომ აღნიშნული რაიონის სახალხო განათლების განყოფილება და სკოლების მუშაკები სათანადო ახსნა-განმარტებით მუშაობას არ ატარებენ მოსახლეობაში, არ ზრუნავენ სათბობი მასალით სკოლების მომარაგებისათვის, ადგილი აქვს სკოლებიდან მოწაფეების განთესვას. ახალქალაქის რაიონის 8 წლიანი სკოლებიდან განთესილია 1952-1953 სასწავლო წელს — 1093 მოსწავლე და 1953-1954 სასწავლო წელს — 903 მოსწავლე.

მოსწავლეთა განთესვას ადგილი აქვს აგრეთვე წალენჯიხის რაიონის სკოლებშიც. 1953-1954 სასწავლო წელს რაიონის სხვადასხვა სკოლებიდან განითესა ორმოცზე მეტი მოსწავლე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში აღნიშნავს, რომ ახალქალაქისა და წალენჯიხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები არასაკმარის ხელმძღვანელებს და იშვიათად იხილავენ საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საკითხს. რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოებთან არსებული სახალხო განათლების მუდმივი კომისიები არ ღებულობენ ზომებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. დაევალოს ახალქალაქისა და წალენჯიხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. ნ. ს. ჯავახიძე, ი. ე. ზარანდია):

ა) სისტემატურად შეამოწმონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობა რაიონში, შემოწმების შედეგები მოისმინონ საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე და მიიღონ სათანადო ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;

ბ) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრგლად გატარების მიზნით დამატებით აღრიცხონ სასკოლო ასაკის ბავშვები და მიიღონ გადამჭრელი ზომები სავალდებულო სწავლებაში მათ ჩასაბმელად;

გ) საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში ჩაბან ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, სახალხო განათლების მუდმივი კომისიები და ადგილობრივი აქტივი, გააძლიერონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის მნიშვნელობის შესახებ;

დ) აღმოუჩინონ საჭირო დახმარება უდენდამო, შრომისა და სამამულო ომის ინვალიდთა ბავშვებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლებაში ჩასაბმელად;

ე) მიიღონ სათანადო ზომები სკოლებში დაგვიანებით მიღებულ ბავშვთა დასახმარებლად მათი აკადემიური მოსწრების უზრუნველსაყოფად;

ვ) დახმარება გაუწიონ სკოლებს სათბობი მასალით მომარაგების საქმეში;

ზ) სასკოლო ასაკის ბავშვების სრულად გამოვლინების მიზნით უზრუნველყონ საბინაო დავთრებისა და საკომლო წიგნების მოწესრიგება და მათში ყველა მოქალაქის დროულად ჩაწერა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს (ამხ. გ. ნ. ჯიბლაძე) შეამოწმოს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების მდგომარეობა ცალკეულ რაიონებში და მიიღოს გადაამტკიცებელი ზომები აღნიშნული კანონის განუხრებლად გატარების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**.

ქ. თბილისი.
1954 წ. 20 თებერვალი.

25. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ საბჭოების სესიებზე და დეპუტატების ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების შესახებ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში ქალაქ თბილისის სტალინის, მოლოტოვის, კალინინისა და კიროვის სახელობის რაიონებში, ქალაქებში ქუთაისში და ქიათურაში, სამტრედიის, სიღნაღის, კასპის, ბოლნისის, ვანისა და სხვა რაიონებში, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ში მოსმენილია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების და დეპუტატების ანგარიშები. აღნიშნული ანგარიშების ჩატარების დროს სიტყვაში გამოსული დეპუტატები და ამომრჩევლები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის კომუნალური მომსახურების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, ცუდად მუშაობენ აბანოები, მოსახლეობა არ არის უზრუნველყოფილი სასმელი წყლით, საცხოვრებელი ბინების, სკოლების და საბავშვო დაწესებულებების შეკეთება ხდება დაგვიანებით და უხარისხოდ, აღმასკომები სუსტად იბრძვიან საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ და არ ამოწმებენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. დეპუტატებს და ამომრჩევლებს შეჰქონდათ მნიშვნელოვანი და საჭირო წინადადებები მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, სამრეწველო საწარმოთა, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის მუშაობის უკეთ მოწყობის, მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის შესახებ. დეპუტატებისა და ამომრჩევლების წინადადებების საფუძველზე გატარებულია ღონისძიებები ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ქალაქებში და რაიონებში არ ხდება ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების და დეპუტატების ანგარიშების ჩაბარება.

თბილისის, ფოთის, გორისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ორმოცზე მეტ რაიონულ და ზოგიერთ სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს არ ჩაუბარებიათ სათანადო საბჭოებისათვის ანგარიშები. დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარება არ ხდება ყველა რაიონში.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების ადგი-

ლობრივი საბჭოების არც ერთ აღმასკომს საბჭოს სესიისათვის და დეპუტატს ამომრჩევლებისათვის ანგარიშები არ ჩაუბარებიათ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ანიუებს რა უდიდეს მნიშვნელობას ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ საბჭოების სესიებზე და დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარებას, ადგენს:

1. დაველოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს:

ა) განუხრელად შეასრულონ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 98 და 155 მუხლებში ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საბჭოების სესიებზე და დეპუტატების ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშების ჩაბარების შესახებ;

ბ) აღმასკომების ანგარიშების ჩაბარების დროს დეპუტატების მიერ შემოტანილი წინადადებების გათვალისწინებით დასახონ და განახორციელონ სათანადო ღონისძიებები მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

გ) ყოველგვარი დახმარება გაუწიონ დეპუტატებს ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმეში, უზრუნველყონ დეპუტატები საანგარიშო მოხსენებისათვის საჭირო მასალებით, გააფორმონ საანგარიშო კრებების ოქმები ამომრჩეველთა წინადადებების შეტანით და დასახონ ღონისძიებები ამ წინადადებების განსახორციელებლად;

დ) ფართოდ გააშუქონ ადგილობრივი პრესის ფურცლებზე საბჭოების აღმასკომებისა და დეპუტატების ანგარიშების მიმდინარეობა.

2. ერჩიით აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს მიიღონ გადამკრეცი ზომები, რათა აღმასკომებმა სათანადო საბჭოს სესიებზე და დეპუტატებმა ამომრჩევლებს პერიოდულად ჩააბარონ ანგარიშები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი.

1954 წ. 20 ოქტომბერი.

26. სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით სოფლის მეურნეობის მუშაკთა დასაჯილდოებლად და საბატიო წოდებების მისანიჭებლად წარდგენის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ წელთა ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით სოფლის მეურნეობის მუშაკთა დასაჯილდოებლად წარდგენის საქმეში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

1950 წლიდან დღემდე საქართველოს სსრ-ში წელთა ნამსახურობისა და

უმწიკვლო მუშაობისათვის სოფლის მეურნეობის 5158 სპეციალისტიდან დაჯილდოებულია 444 სპეციალისტი. 1953 წელს საქართველოდან არ იყო დაჯილდოებული სოფლის მეურნეობის არც ერთი მუშაკი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ ღებულობს საპროზომებს სოფლის მეურნეობის იმ მუშაკთა დროულად გამოვლენებისათვის რომელნიც დასაჯილდოებლად უნდა იქნენ წარდგენილნი. სამინისტროში არ სწარმოებს დასაჯილდოებელი მუშაკების აღრიცხვა, დაჯილდოების საკითხებზე სამუშაოდ არ არის გაპიროვნებული სპეციალური მუშაკი.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია აგრეთვე სოფლის მეურნეობის მუშაკთა საპატიო წოდებების მისანიჭებლად წარდგენის საქმეც. „საქართველოს სსრ დამსახურებული ზოტექნიკოსის“ საპატიო წოდება მიენიჭა სოფლის მეურნეობის მხოლოდ 11 მუშაკს, „საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმისა“—9 მუშაკს, „საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის“ საპატიო წოდება ჯერ არა აქვს მინიჭებული არც ერთ მუშაკს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ამხ. ს. ვ. დურმიშიძე) დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მუშაკთა წელთა ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარდგენის საქმის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც:

ა) დროულად გამოავლინოს სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებელი სოფლის მეურნეობის მუშაკები და უზრუნველყოს დასაჯილდოებელი მასალების ხარისხიანად და ინსტრუქციის დაცვით გაფორმება;

ბ) მოიყვანოს წესრიგში დასაჯილდოებლად წარსადგენი სოფლის მეურნეობის მუშაკთა აღრიცხვა, გააპიროვნოს ამ საქმეზე სამინისტროს აპარატიდან სპეციალური მუშაკი;

გ) დაწესებულ ვადებში უზრუნველყოს დაჯილდოების მასალების წარმოდგენა ადგილებიდან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაგზავნა;

დ) დროულად წარმოადგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მასალები სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მისანიჭებლად;

ე) სისტემატური კონტროლი და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებს სოფლის მეურნეობის მუშაკთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად და საპატიო წოდებების მისანიჭებლად წარდგენის საქმეში;

ვ) ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1955 წლის 1 იანვრისათვის.

2. დაევალოს მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს გაუწიონ დახმარება სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებს სოფლის მეურნეობის მუშაკთა წელთა ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად წარდგენის საქმეში.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და-
ჯილდოებულთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის განყოფილებას თვალყური
ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.

1954 წ. 20 ოქტომბერი.

**27. ბრძანებულია აპარის ასსრ ქობულეთის რაიონში დაბა (ქალაქის ტი-
პის დასახლებული პუნქტი) ოჩხამურის და ოჩხამურის სადაბო საბჭოს
შექმნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გამოეყოს ქობულეთის რაიონის მუხანატატეს სასოფლო საბჭოს ოჩ-
ხამურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ოჩხამურის ჩაის
ფაბრიკის, ტუნგოს ქარხნის, ქობულეთის რაინრეწვკომბინატის აგურ-კრამი-
ტის ქარხნის და რკინიგზის სადგური ოჩხამურის დასახლებული პუნქტები და
მათგან შეიქმნას დაბა (ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი) ოჩხამური.

2. დაბა (ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი) ოჩხამურში შეიქმნას
ოჩხამურის სადაბო საბჭო.

3. გამოეყოს ლეღვას სასოფლო საბჭოს ცეცხლაურის ციტრუსებისა და
ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობების დასახლებული პუნქტები, მუ-
ხანატატეს სასოფლო საბჭოს ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტე-
რიტორია და აღმინისტრაციულად დაექვემდებარონ ოჩხამურის სადაბო
საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.

1954 წ. 29 ოქტომბერი.

**28. ბრძანებულია აპარის ასსრ ქობულეთის რაიონში დაბა (ქალაქის ტიპის
დასახლებული პუნქტი) ჩაქვის, ჩაქვის სადაბო საბჭოსა და ულიანოვკის
სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიქმნას დაბა (ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი) ჩაქვა, ჩაქვის
ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ჩაქვის ციტრუსების საბჭოთა
მეურნეობის, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-
საკვლევო ინსტიტუტის ფილიალის. პირველი. მეორე. მესამე და მეოთხე ჩაის
ფაბრიკების, საქართველოს ხეხილ-სანერგების მეთესლეობის ჩაქვის კანტო-
რის და რკინიგზის სადგური ჩაქვის დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე.



2. დაბა (ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი) ჩაქვში შეიქმნას ჩაქვის სადაბო საბჭო და გაუქმდეს ჩაქვის სასოფლო საბჭო.

3. ჩაქვის სადაბო საბჭოს დაექვემდებაროს ადმინისტრაციულად სოფელი სახალვაშო და ბუქნარის ციტრუსების შემფუთავი და ეთერზეთოვანი ქარხნების დასახლებული პუნქტები, რომლებიც ადრე შედიოდნენ ჩაქვის სასოფლო საბჭოში.

4. დარჩენილ სოფლებიდან—ულიანოვკა, ბუქნარი, ზედა აჭყვა და ქვედა აჭყვა შეიქმნას ულიანოვკის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ულიანოვკაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**.

ქ. თბილისი.
1954 წ. 29 ოქტომბერი.

29. ბრძანებულება მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი, „სახელოვანი დედის“ I ხარისხის ორდენით

- | | |
|--|---|
| 1. ბაგდასაროვა ვართანუშ ამბარცუშის ასული | — დიასახლისი, ქ. თბილისი |
| 2. ბერსელია ლოლა ანტონის ასული | — კოლმეურნე, სოფელი კურზუ, გეგეჭკორის რაიონი |
| 3. გოვა ასადულ ყზი | — დიასახლისი, სოფელი გომბორი, საგარეჯოს რაიონი |
| 4. გოგოლაევა სონა ნაროზის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ბოლქვი, ლაგოდეხის რაიონი |
| 5. ისმაილოვა გიულგაზალი ყზი | — კოლმეურნე, სოფელი განთიადი, დმანისის რაიონი |
| 6. კოზაევა პეპენა დავითის ასული | — კოლმეურნე, სოფელი კოზ, ჯავის რაიონი |
| 7. ნემსიწვერიძე პასიკო ეგნატეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი უცხერი, ცაგერის რაიონი |
| 8. რიზაევა სარია ასადლა ყზი | — დიასახლისი, ქ. თბილისი |
| 9. სოსინა ევლოკია იაკობის ასული | — დიასახლისი, სოფელი კრასნოგორსკი, საგარეჯოს რაიონი |

- 10. ქეთიშვილი ნინო — კოლმეურნე, სოფელი იგოეთი, კასპის რაიონი
ფრიდონის ასული
- 11. ჩარჩა კულამ ყუზი — დიასახლისი, სოფელი გომბორი, საგარე-
ჯოს რაიონი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი, „სახელოვანი დედის“ II ხარისხის ორდენით

- 1. ბაბაევა ყურბა მურთუზ ყუზი — დიასახლისი, ქ. თბილისი
- 2. ბდოიან ნუემზარ გრიგოლის ასული — დიასახლისი, სოფელი კატნათუ, ბოგდანოვკის რაიონი
- 3. ბენიძე ალათი იასონის ასული — კოლმეურნე, სოფელი ზუბი, ცაგერის რაიონი
- 4. ანსიანი მაინო ბლათურის ასული — კოლმეურნე, სოფელი ქუბერი, მესტიის რაიონი
- 5. აჯამოვა კაზე თემურის ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი
- 6. გაბედავა მინუცა თემყვას ასული — კოლმეურნე, სოფელი კურზუ, გეგეჭკორის რაიონი
- 7. გალოიან ასტხიკ არაქელის ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი
- 8. გორდუზიანი ქეთო თომას ასული — კოლმეურნე, სოფელი ალავერდი, ზესტაფონის რაიონი
- 9. გულავათინ ისრაფილ ყუზი — კოლმეურნე, სოფელი კაბალი, ლაგოდეხის რაიონი
- 10. გურგენაძე თებრონე სერგოს ასული — კოლმეურნე, სოფელი ტაბანათი, ლანჩხუთის რაიონი
- 11. ვანიან კალი მიხეილის ასული — კოლმეურნე, სოფელი დაღეთ-ხაჩინი, თეთრიწყაროს რაიონი
- 12. ზოზრაშვილი ერმონა კონსტანტინეს ასული — კოლმეურნე, სოფელი სამთავისი, კასპის რაიონი
- 13. თელია ქსენია პორფილეს ასული — კოლმეურნე, სოფელი კეთილარი, აბაშის რაიონი
- 14. კალაიჩიან შუშანიკ სარქიის ასული — დიასახლისი, სოფელი ფოკა, ბოგდანოვკის რაიონი
- 15. კაპანაძე ავდინა კონსტანტინეს ასული — კოლმეურნე, სოფელი ჯალაურთა, საჩხერის რაიონი
- 16. კესოვა ეფროსინია ფეოფილაქტოვის ასული — კოლმეურნე, სოფელი ოლიანგი, წალკის რაიონი
- 17. კუცია ვერა კოსტას ასული — კოლმეურნე, დაბა აბაშა, აბაშის რაიონი
- 18. ლაზიაშვილი მარო სტეფანეს ასული — კოლმეურნე, სოფელი ხოპისი, თეთრი-წყაროს რაიონი
- 19. ლობჯანიძე ანა კონსტანტინეს ასული — კოლმეურნე, სოფელი დეზი, ონის რაიონი

- | | |
|--|---|
| 20. მაჭარაშვილი მატრონე ივანეს ასული | — დიასახლისი, სოფელი ქალენი, საჩხერის რაიონი |
| 21. მუშენიტოვა ალექსანდრა მისაილის ასული | — დიასახლისი, სოფელი იმერა, წალკის რაიონი |
| 22. ნერსესიან ოსკო აბკარის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ოლავერდი, ახალქალაქის რაიონი |
| 23. საავად ისკანდარ ყზი | — დიასახლისი, სოფელი მუხროვანი, საგარეჯოს რაიონი |
| 24. საგრადიან კალი მიხეილის ასული | — კოლმეურნე, სოფელი სამშვილდე, თეთრიწყაროს რაიონი |
| 25. სვანიძე თეო ბედიას ასული | — კოლმეურნე, სოფელი ნინოშვილი, ლანჩხუთის რაიონი |
| 26. თედეევა ბილო მიხეილის ასული | — კოლმეურნე, სოფელი კორსევი, ჯავის რაიონი |
| 27. ჩაგანავა თამარ ათანასის ასული | — კოლმეურნე, სოფელი კეთილარი, აბაშის რაიონი |
| 28. ჩარგაზია მინუცა ონისიმეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი კურუზ, გეგეჭკორის რაიონი |
| 29. ჩხეტიანი მანაილ ლემინის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ქუბერი, მესტიის რაიონი |
| 30. ჩხეიმიანი ოლლა აძას ასული | — კოლმეურნე, სოფელი ქუბერი, მესტიის რაიონი |
| 31. ჯაგინიან მარიამ ასლანის ასული | — კოლმეურნე, სოფელი სამშვილდე, თეთრიწყაროს რაიონი |
| 32. ჯღარკავა გუგუ ივანეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი ნაგვაზაო, გეგეჭკორის რაიონი. |

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი, „სახელოვანი დედის“ III ხარისხის ორდენით

- | | |
|-----------------------------------|--|
| 1. აბდულაევა ზაგდა სულეიმან ყზი | — კოლმეურნე, სოფელი ქესალო, გარდაბნის რაიონი |
| 2. აბრამიან არფენიკ ენოკის ასული | — კოლმეურნე, სოფელი პატარა გონდრიო, ბოგდანოვკის რაიონი |
| 3. აგამირიან მანიაკ ასლანის ასული | — კოლმეურნე, სოფელი დაღეთხაჩინი, თეთრიწყაროს რაიონი |
| 4. ალიევა ნიარ ბაირამ ყზი | — კოლმეურნე, სოფელი ირგანჩაი, დმანისის რაიონი |
| 5. არუშანიან ოსანა არუთინის ასული | — კოლმეურნე, სოფელი სამშვილდე, თეთრიწყაროს რაიონი |
| 6. ასლანიან თუთიკ მათეოსის ასული | — დიასახლისი, სოფელი ჯიგრაშენი, ბოგდანოვკის რაიონი |
| 7. ატმაჯევა მარიამ ივანეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი ჯინისი, წალკის რაიონი |
| 8. ბაბაევა აჯარ ალი ყზი | — კოლმეურნე, სოფელი ნაზარლო, გარდაბნის რაიონი |

- | | |
|--|---|
| 9. ბაიდარაშვილი ლიზა ტატოს ასული | — კოლმეურნე, სოფელი ჩხიკვათა, თეთრიწყაროს რაიონი |
| 10. ბანიშუა რამაზან ყზი | — კოლმეურნე, სოფელი ყარაჯალა, ლაგოდების რაიონი |
| 11. ბარჯაძე მარიამ იაგორის ასული | — დიასახლისი, ქ. თბილისი |
| 12. ბასტი კარა ყზი | — კოლმეურნე, სოფელი ყარაჯალა, ლაგოდების რაიონი |
| 13. ბესთაევა მირინდო რაჟდენის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ქევხიანი, ლაგოდების რაიონი |
| 14. ბესთაევა ლუბა ანდროს ასული | — კოლმეურნე, სოფელი ბოლქვი, ლაგოდების რაიონი |
| 15. გაბისონია ლოლა ივანეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი კურზუ, გეგეჰკორის რაიონი |
| 16. გაგეევა მარუსა სარქისის ასული | — კოლმეურნე, სოფელი არეშფერანი, ლაგოდების რაიონი |
| 17. გაგეევა ჟენია ალბერტის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ბოლქვი, ლაგოდების რაიონი |
| 18. გაგლოშვილი ფედოსია კოტეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი ოქროსოფელი, ქარელის რაიონი |
| 19. გამდლიშვილი სალომე დიმიტრის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ქვეში, გორის რაიონი |
| 20. გვარამიანი ანუჩკა ზესარიონის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ქუბერი, მესტიის რაიონი |
| 21. გოშუანი საშა ომანაის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ბეჩო, მესტიის რაიონი |
| 22. გულიან მარიამ ხაჩატურის ასული | — კოლმეურნე, სოფელი სამშვილდე, თეთრიწყაროს რაიონი |
| 23. გულხანუმ ასაბალა ყზი | — კოლმეურნე, სოფელი კაბალი, ლაგოდების რაიონი |
| 24. გუსეინოვა ხაჯა იბრაგიმ ყზი | — დიასახლისი, სოფელი ყარაჯალარი, გარდაბნის რაიონი |
| 25. დანელიან პეპელა იაგორის ასული | — კოლმეურნე, სოფელი სამშვილდე, თეთრიწყაროს რაიონი |
| 26. დოროხოვა ანა მიხეილის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ულიანოვკა, ლაგოდების რაიონი |
| 27. ელიზაროვა ვარო სოლომონის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ქევხიანი, ლაგოდების რაიონი |
| 28. ზითანიშვილი ანეტა ალექსის ასული | — დიასახლისი, სოფელი სართიქალა, საგარეჯოს რაიონი |
| 29. თედეევა თაფლო სარდიონის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ბოლქვი, ლაგოდების რაიონი |
| 30. თედეევა ნინა ზაქარიას ასული | — კოლმეურნე, სოფელი კორსევი, ჯავის რაიონი |
| 31. თევზაძე ვალია ვასილის ასული | — კოლმეურნე, სოფელი კეთილარი, აბაშის რაიონი |

32. თევზაძე ნადია გიორგის ასული — კოლმეურნე, სოფელი ქვიანი, ლანჩხუთის რაიონი
33. თოდაძე მარგალიტა გედევანის ასული — კოლმეურნე, სოფელი არგვეთი, საჩხერის რაიონი
34. იაკობაშვილი ნადია ილიკოს ასული — კოლმეურნე, სოფელი ჯალაურთა, საჩხერის რაიონი
35. იანაკოვა ანუსია საბას ასული — კოლმეურნე, სოფელი გუმბათი, წალკის რაიონი
36. კაკიტელაშვილი ლია ისაკის ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი
37. კახრამანოვა თეივა ოსმან ყზი — კოლმეურნე, სოფელი ირგანჯი, დმანისის რაიონი
38. კეთილაძე ბაბილინა პარმენის ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი
39. კესოვა მარიამ არისტარხის ასული — კოლმეურნე, სოფელი ოლიანგი, წალკის რაიონი
40. კვანჭიანი მისმილათ ნესტორის ასული — კოლმეურნე, სოფელი ბეჩო, მესტიის რაიონი
41. კიკალიშვილი თალიკო დიმიტრის ასული — დიასახლისი, სოფელი გეგეჭკორი, გეგეჭკორის რაიონი
42. კორაევა ბაბო მიხას ასული — კოლმეურნე, სოფელი არეშფერანი, ლაგოდეხის რაიონი
43. კრიხელი პაშა შალიკოს ასული — კოლმეურნე, სოფელი ულიანოვკა, ლაგოდეხის რაიონი
44. ლალიევა ოლღა რეზოს ასული — კოლმეურნე, სოფელი არეშფერანი, ლაგოდეხის რაიონი
45. ლობჯანიძე ელენე ივანეს ასული — კოლმეურნე, სოფელი ღები, ონის რაიონი
46. მატყეევა ოლღა მაქსიმეს ასული — კოლმეურნე, სოფელი გომბორი, საგარეჯოს რაიონი
47. მაყიშვილი მარიამ ჩამელის ასული — კოლმეურნე, სოფელი ტუსრები, გორის რაიონი
48. მირაბიან ლუსიკ ვაგანის ასული — კოლმეურნე, სოფელი სამშვილდე, თეთრიწყაროს რაიონი
49. მიროიან შუშანიკ გრიგოლის ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი
50. მოძღვრიშვილი ხავა ილიას ასული — დიასახლისი, სოფელი ღრმაღელე, ლანჩხუთის რაიონი
51. მუდვარ ახმედ ყზი — კოლმეურნე, სოფელი ქესალო, გარდაბნის რაიონი
52. მუზაშვილი ბაბუკა ილიას ასული — კოლმეურნე, სოფელი იგოეთი, კასპის რაიონი
53. მკრტიან პარტეზ არშაკის ასული — დიასახლისი, სოფელი თორია, ბოგდანოვკის რაიონი
54. ნიგურიანი გვაშა ილარიონის ასული — კოლმეურნე, სოფელი იალბუზი, ქლუხო-რის რაიონი

- 55. ნოვოზუხოვა ფატმა სულეიმან ყზი — კოლმეურნე, სოფელი კაკლიანი, დმანის რაიონი
- 56. ნოზაძე ნადეჟდა ვასილის ასული — კოლმეურნე, სოფელი ჯალაღურთა, საჩხერის რაიონი
- 57. ოვანესიან ესხან თათევოსის ასული — დიასახლისი, სოფელი ჯიგრაშენი, ბოგდანოვკის რაიონი
- 58. ოთხოვანი ბარბალე ძუბას ასული — კოლმეურნე, სოფელი ქუბერი, მესტიის რაიონი
- 59. ოთხოვანი სალომე მურზას ასული — კოლმეურნე, სოფელი ქუბერი, მესტიის რაიონი
- 60. პავლენკო მატრონე ანდრიას ასული — კოლმეურნე, სოფელი ულიანოვკა, ლაგოდეხის რაიონი
- 61. პოლოსიან მარგო აბრამის ასული — კოლმეურნე, სოფელი სამშვილდე, თეთრიწყაროს რაიონი
- 62. ქელტკოვა ვედოკია თედორეს ასული — დიასახლისი, სოფელი კრასნოგორსკი, საგარეჯოს რაიონი
- 63. სალია ამით ყზი — კოლმეურნე, სოფელი კაბალი, ლაგოდეხის რაიონი
- 64. საქინა მახმად ყზი — კოლმეურნე, სოფელი კაბალი, ლაგოდეხის რაიონი
- 65. სიხარულიძე ბაბო გაბრიელის ასული — კოლმეურნე, სოფელი გოგოლესუბანი, ჩოხატაურის რაიონი
- 66. სტეფანოვა რუსიკო ისაკის ასული — კოლმეურნე, სოფელი ახრისი, გორის რაიონი
- 67. სტეფანიან მარიამ არუთინის ასული — კოლმეურნე, სოფელი სამშვილდე, თეთრიწყაროს რაიონი
- 68. სუბელიანი კატი გიძას ასული — კოლმეურნე, სოფელი ქუბერი, მესტიის რაიონი
- 69. ტაშიან არევატ მისაკის ასული — კოლმეურნე, სოფელი ოლავერდი, ახალქალაქის რაიონი
- 70. ტუშტიევა ხანუმი მამედ ყზი — კოლმეურნე, სოფელი ყარაჯალარი, გარდაბნის რაიონი
- 71. ფოფხაძე ნინო მიხეილის ასული — კოლმეურნე, სოფელი ნეესაკაო, აბაშის რაიონი
- 72. ქიქავა ცაცუ ანტონის ასული — დიასახლისი, სოფელი გეგემკორი, გეგემკორის რაიონი
- 73. ქურდიე თეო სტეფანეს ასული — კოლმეურნე, სოფელი ღრმაღელე, ლანჩხუთის რაიონი
- 74. ქურციკიძე ჟენია თეიმურაზის ასული — დიასახლისი, სოფელი მექვენა, ქუთაისის რაიონი
- 75. ყულუმბეგაშვილი მარუსა იოსების ასული — კოლმეურნე, სოფელი შავშევი, გორის რაიონი
- 76. ჩხეტიანი სამშიათ სიმონის ასული — კოლმეურნე, სოფელი ქუბერი, მესტიის რაიონი
- 77. ჩერქეზიშვილი მანანა ივანეს ასული — დიასახლისი, სოფელი თოხლიაური, საგარეჯოს რაიონი

- | | |
|--------------------------------------|--|
| 78. ჩიტორელიძე შურა პლატონის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ლეღვა, ტყიბულის რაიონი |
| 79. ჩოქური სალომე ბიჭიკოს ასული | — კოლმეურნე, სოფელი საფუძვრები, თეთრიწყაროს რაიონი |
| 80. ჩხეტიანი ოლია ექვთიმეს ასული | — დიასახლისი, სოფელი მექვენა, ქუთაისის რაიონი |
| 81. ჩხიტუნიძე მარუსა ივანეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი გორისა, საჩხერის რაიონი |
| 82. ცინდელიანი ანეტა აძას ასული | — კოლმეურნე, სოფელი ნაკი, მესტიის რაიონი |
| 83. ცხოვრებოვა ნასტია მიხეილის ასული | — კოლმეურნე, სოფელი კორსევი, ჯავის რაიონი |
| 84. წაველიძე სირანა ვასილის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ზემო ხვედურეთი, ქარელის რაიონი |
| 85. ჭკადუა დღუშა ოქრეშის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ლახამულა, მესტიის რაიონი |
| 86. ჭკადუა დოურხან ბადის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ლახამულა, მესტიის რაიონი |
| 87. ჭკადუა სონია მიხეილის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ლახამულა, მესტიის რაიონი |
| 88. ხაბალოვა რახე ილიას ასული | — კოლმეურნე, სოფელი ცაგათწიფლანი, ჯავის რაიონი |
| 89. ხაქოშია თამარ ლუკას ასული | — დიასახლისი, სოფელი გემეჭკორი, გემეჭკორის რაიონი |
| 90. ხაჯიევა ელენა დემიანის ასული | — კოლმეურნე, სოფელი განახლება, დმანისის რაიონი |
| 91. ჯაგინიან აიკანუშ ავეტიკის ასული | — კოლმეურნე, სოფელი სამშვილდე, თეთრიწყაროს რაიონი |
| 92. ჯღარკაევა ოლია პაველეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი ნაგვაზაო, გემეჭკორის რაიონი. |

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი, „დედობის მედლის“ I ხარისხის მედლით

- | | |
|-------------------------------------|--|
| 1. აბლაკი ეთერი სიკოს ასული | — კოლმეურნე, სოფელი ბერშუეთი, გორის რაიონი |
| 2. აბდულაევა ასლი მაგამედ ყზი | — კოლმეურნე, სოფელი კაკლიანი, დმანისის რაიონი |
| 3. აბუაშვილი კანუშა ელიოზის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ნადარბაზევი, გორის რაიონი |
| 4. ავალიანი გოგუცა ამბაკოს ასული | — დიასახლისი, სოფელი ნამახვანი, ქუთაისის რაიონი |
| 5. აღექსანიან ბაეაკან გულაბის ასული | — დიასახლისი, ქ. თბილისი |
| 6. ამბარიან ნაზელი ვარდანის ასული | — დიასახლისი, სოფელი კათნატუ, ბოგდანოვკის რაიონი |

7. ამბარდანოვა კატო
ანტონის ასული — კოლმეურნე, სოფელი ნადარბაზევი, გო-
რის რაიონი
8. ანდიაშვილი მარიამ
გიორგის ასული — კოლმეურნე, სოფელი ჯავახი, დმანისის
რაიონი
9. არაქელიან ვარსენიკ
გაბრიელის ასული — კოლმეურნე, სოფელი ყულალისი, ბოგდა-
ნოვკის რაიონი
10. არუშანიან მარიამ
აკოფის ასული — კოლმეურნე, სოფელი დაღეთ-ხაჩინი,
თეთრიწყაროს რაიონი
11. ასათიანი საშა
თადეოზის ასული — დიასახლისი, სოფელი მექვენა, ქუთაი-
სის რაიონი
12. ახვერდიევა ანაგიზ
გუმბათ ყუზი — კოლმეურნე, სოფელი ყიზილქილისა,
დმანისის რაიონი
13. ბადაევა ხაჯე
ბაქირის ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი
14. ბადიშიან ვოსკიატ
სედრაკის ასული — დიასახლისი, სოფელი განძა, ბოგდანოვ-
კის რაიონი
15. ბაზროვა მარუსია
კალიმორნის ასული — მოსამსახურე, სოფელი ლახამულა, მეს-
ტიის რაიონი
16. ბანძელაძე მარო
დიმიტრის ასული — დიასახლისი, სოფელი მექვენა, ქუთაი-
სის რაიონი
17. ბარაბაძე ლენა
ზოსიმეს ასული — კოლმეურნე, სოფელი გეგეშკორი, გეგეშ-
კორის რაიონი
18. ბასიაშვილი თამარ
გიორგის ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი
19. ბერიძე მარგალიტა
ელიოზის ასული — კოლმეურნე, სოფელი ტირძნისი, გორის
რაიონი
20. ბერსელია ქსენია
ანდრიას ასული — კოლმეურნე, სოფელი კურზუ, გეგეშკო-
რის რაიონი
21. ბესტაევა ტასიკო
ზალიკოს ასული — კოლმეურნე, სოფელი ბოლქვი, ლაგოდე-
ხის რაიონი
22. ბიგანოვა ენია
გაბრიელის ასული — კოლმეურნე, სოფელი შავშევი, გორის
რაიონი
23. ბოლოთაევა მარიამ
ჩაკოს ასული — კოლმეურნე, სოფელი ბოლქვი, ლაგოდე-
ხის რაიონი
24. ბოლიშვილი ნინო
სანდროს ასული — კოლმეურნე, სოფელი ოქროსოფელი, ქა-
რელის რაიონი
25. ბრეგაძე სონია
გარსევანის ასული — კოლმეურნე, სოფელი ბუეთი, ტყიბულის
რაიონი
26. გაბარაევა მაშო
მიხას ასული — კოლმეურნე, სოფელი არეშფერანი, ლა-
გოდეხის რაიონი
27. გაბუნია ნუცა
სერაპიონის ასული — დიასახლისი, სოფელი გეგუთი, ქუთაისის
რაიონი
28. გაგლოშვილი ნადია
დიმიტრის ასული — კოლმეურნე, სოფელი ოქროსოფელი, ქა-
რელის რაიონი
29. გაღრანი ნიჩკა
სამსონის ასული — კოლმეურნე, სოფელი ქუბერი, მესტიის
რაიონი

- | | |
|--|--|
| 30. გავაშელიშვილი ელენე სპირიდონის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ღებბი, ონის რაიონი |
| 31. გალუსტიან სონია ხაჩატურის ასული | — კოლმეურნე, სოფელი სამშვილდე, თეთრიწყაროს რაიონი |
| 32. გასუმოვა თუქაზბან ომარ ყზი | — კოლმეურნე, სოფელი ირგანჩაი, დმანისის რაიონი |
| 33. გელაშვილი ნინო დავითის ასული | — დიასახლისი, სოფელი სართიქალა, საგარეჯოს რაიონი |
| 34. გოგიჩაიშვილი მარიამ გლახოს ასული | — კოლმეურნე, სოფელი ახალსოფელი, თეთრიწყაროს რაიონი |
| 35. გოგრიჭიანი მასტრედო ისმაილის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ღებბი, ონის რაიონი |
| 36. გოგრიჭიანი ოლია პართენის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ღებბი, ონის რაიონი |
| 37. დარბაიძე მარგალიტა გიორგის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ულიანოვკა, ლაგოდეხის რაიონი |
| 38. დემეტრაშვილი მარიამ ზაქარიას ასული | — კოლმეურნე, სოფელი ჯარიაშენი, გორის რაიონი |
| 39. დიდებაშვილი თამარ დავითის ასული | — კოლმეურნე, სოფელი საცხენისი, საგარეჯოს რაიონი |
| 40. დონღუზოვა ანა ტარიელის ასული | — დიასახლისი, ქ. თბილისი |
| 41. ელბაკიევა დუსია ბიტროს ასული | — კოლმეურნე, სოფელი სტირაფაზი, ჯავის რაიონი |
| 42. ელჩიევა გიულხანიმ ალი ყზი | — კოლმეურნე, სოფელი ირგანჩაი, დმანისის რაიონი |
| 43. ეპრიკიან შოგერ მაგოს ასული | — კოლმეურნე, სოფელი დაღეთ-ხაჩინი, თეთრიწყაროს რაიონი |
| 44. ესართია შუშანიკა ნესტორის ასული | — კოლმეურნე, სოფელი კურზუ, გეგეშკორის რაიონი |
| 45. ვიბლიანი ალათი არეთას ასული | — კოლმეურნე, სოფელი ქუბერი, მესტიის რაიონი |
| 46. ვიბლიანი ივდითე ხოსიას ასული | — კოლმეურნე, სოფელი ქუბერი, მესტიის რაიონი |
| 47. ზასეევა სონია ხუტუნას ასული | — დიასახლისი, დაბა კვაისი, ჯავის რაიონი |
| 48. ზაუტაშვილი ირა გიგას ასული | — კოლმეურნე, სოფელი ბერშუეთი, გორის რაიონი |
| 49. ზაქაშვილი ნინო ივანეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი გორისა, საჩხერის რაიონი |
| 50. ზოხრა მახარამ ყზი | — კოლმეურნე, სოფელი ყარაჯალა, ლაგოდეხის რაიონი |
| 51. ზუმბულიძე სათო გიორგის ასული | — კოლმეურნე, სოფელი მეჯვრისხევი, გორის რაიონი |
| 52. თედეევა ოლლა ანდრეას ასული | — კოლმეურნე, სოფელი კორსევი, ჯავის რაიონი |

- | | |
|---------------------------------------|--|
| 53. თედევვა ლიზა პეტრეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი კორსევი, ჯავის რაიონი |
| 54. თედევვა რაისა ბიასოს ასული | — კოლმეურნე, სოფელი კორსევი, ჯავის რაიონი |
| 55. თედორაძე ეთერი დავითის ასული | — კოლმეურნე, სოფელი კეთილარი, აბაშის რაიონი |
| 56. თვაური თალიკო ანტონის ასული | — კოლმეურნე, სოფელი შავშევები, გორის რაიონი |
| 57. თოდაძე მასტრედი ვარდენის ასული | — კოლმეურნე, სოფელი არგვეთი, საჩხერის რაიონი |
| 58. იოსებაშვილი მარიამ მორდეხის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ულიანოვკა, ლაგოდეხის რაიონი |
| 59. კავსაძე ანო ლევანის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ზემო-ხვედურეთი, ქარელის რაიონი |
| 60. კამალიან სირან ივანეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი სამშვილდე, თეთრიწყაროს რაიონი |
| 61. კარელიძე თამარ დავითის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ბნავისი, გორის რაიონი |
| 62. კახაბრიშვილი ნინო მიხეილის ასული | — დიასახლისი, სოფელი საცხენისი, საგარეჯოს რაიონი |
| 63. კეზეროვა ელისაბედ კაზარის ასული | — დიასახლისი, ქ. თბილისი |
| 64. კერატიშვილი თამარ ესტატეს ასული | — დიასახლისი, სოფელი პატარძეული, საგარეჯოს რაიონი |
| 65. კვირიკაშვილი მარიამ ივანეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი მეჯვრისხევი, გორის რაიონი |
| 66. კვიციანი ანეტა ახშარის ასული | — კოლმეურნე, სოფელი იაღბუზი, ქლუხორის რაიონი |
| 67. კილასონია ნორა სიმონის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ზანათი, აბაშის რაიონი |
| 68. კობროიძე თუნა სოლომონის ასული | — კოლმეურნე, სოფელი გორისა, საჩხერის რაიონი |
| 69. კობაძე მარიამ დავითის ასული | — კოლმეურნე, სოფელი ჭანდრები, ქარელის რაიონი |
| 70. კუდუხაშვილი ნადია ციციკას ასული | — კოლმეურნე, სოფელი შავშევები, გორის რაიონი |
| 71. კურკუმული ნინო კოტეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი ყანობი, ყაზბეგის რაიონი |
| 72. ლალიევა მარუსა პავლეს ასული | — კოლმეურნე, სოფელი არეშვერანი, ლაგოდეხის რაიონი |
| 73. ლამაზიან გოარ პოლოსის ასული | — კოლმეურნე, სოფელი სამშვილდე, თეთრიწყაროს რაიონი |
